EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

თებერვალი 2010 №2 (14)

ევროკომისიის ახალი შემადგენლობა დამტკიცდა

9 თებერვალს ევროპის პარლამენტმა ევროკომისიის საბოლოო შემადგენლობა დაამტკიცა, რითაც მოლაპარაკებისა და კანდიდატების შერჩევის რვა თვიანი პროცედურა დასრულდა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის პროცესი ევროკავშირის ინსტიტუციური ცვლილებებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო გაჭიანურდა. ევროკომისიის ახალ შემადგენლობას ევროპარლამენტის 736 წევრიდან 488-მ დაუჭირა მხარი, 137 წინააღმდეგი იყო, ხოლო 72-მა თავი შეიკავა.

ევროკომისიის განახლებული შემადგენლობა 27 წევრისგან (ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნიდან თითო ევროკომისარი) შედგება, რომლებიც საქმიანობის სფეროებისა და უფლებამოსილების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

1. **ჟოზე მანუელ ბაროზო** (პორტუგალია) — თავმჯდომარე/პრეზიდენტი.
2. **კეტრინ ეშტონი** (გაერთიანებული სამეფო) — ვიცე-პრეზიდენტი; ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი.
3. **ვივიან რედინგი** (ლუქსემბურგი) — ვიცე-პრეზიდენტი; იუსტიციის, ფუნდამენტური უფლებებისა და მოქალაქეობის საკითხები.
4. **ხოაკინ ალმუნია** (ესპანეთი) — ვიცე-პრეზიდენტი; კონკურენციის სფერო.
5. **სიიმ კალასი** (ესტონეთი) — ვიცე-პრეზიდენტი; ტრანსპორტი.
6. **ნილი კროსი** (ნიდერლანდების სამეფო) — ვიცე-პრეზიდენტი; ციფრული დღის წესრიგის საკითხები.
7. **ანტონიო ტაჯანი** (იტალია) — ვიცე-პრეზიდენტი; მრეწველობა და მეწარმეობა.
8. **მაროშ შევჩოვიჩი** (სლოვაკეთი) — ვიცე-პრეზიდენტი; ინსტიტუციური ურთიერთობები და ადმინისტრირება.
9. **იანეზ პოტოჩნიკი** (სლოვენია) — გარემოს დაცვა.
10. **ოლი რენი** (ფინეთი) — ეკონომიკური და მონეტარული საკითხები.
11. **ანდრის პიებალგსი** (ლატვია) — განვითარების საკითხები.
12. **მიშელ ბარნიე** (საფრანგეთი) — შიდა ბაზრისა და მომსახურების სფეროს საკითხები.
13. **ანდრულა ვასილიუ** (კვიპროსი) — განათლების, კულტურის, მრავალენობრიობისა და ახალგაზრდობის საკითხები.
14. **ალგირდას შემეტა** (ლიტვა) — საბაჟო კავშირის, საგადასახადო, აუდიტისა და თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის საკითხები.
15. **კარელ დე გუხტი** (ბელგია) — ვაჭრობა.
16. **ჯონ დალი** (მალტა) — ჯანმრთელობის დაცვისა და სამომხმარებლო პოლიტიკის საკითხები.
17. **მაირ ჯეოგეგან-ქვინი** (ირლანდია) — კვლევა და ინოვაცია.
18. **იანუშ ლევანდოვსკი** (პოლონეთი) — ფინანსური პროგრამირება და ბიუჯეტი.
19. **მარია დამანაკი** (საბერძნეთი) — თევზჭერა და ზღვაოსნობა.
20. **კრისტალინა გეორგიევა** (ბულგარეთი) — საერთაშორისო თანამშრომლობის, ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისის დაძლევის საკითხები.
21. **გიუნტერ ეტინგერი** (გერმანია) — ენერგეტიკა.
22. **იოჰანეს ჰანი** (ავსტრია) — რეგიონული პოლიტიკა.
23. **კონი ჰედეგაარდი** (დანია) — კლიმატთან დაკავშირებული საკითხები.
24. **შტეფან ფიულე** (ჩეხეთი) — გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხები.
25. **ლასლო ანდორი** (უნგრეთი) — დასაქმება და სოციალური საკითხები.
26. **სესილია მალმსტრიომი** (შვედეთი) — საშინაო საქმეები.
27. **დაციან ციოლოში** (რუმინეთი) — სოფლის მეურნეობა.

საერთაშორისო კონფერენცია "საქართველოს ევროპული გზა"

12-13 თებერვალს თბილისში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა მაღალი დონის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველოს ევროპული გზა", რომელიც მიეძღვნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ გამოწვევებს, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, განვითარების საკითხებზე თანამშრომლობასა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა, სასამართლო ხელისუფლების, ევროკავშირის ინსტიტუტების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ქართული და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლებმა.

კონფერენცია ოთხი თემატური სესიის ფარგლებში წარიმართა:

1. **ომის შემდგომი გამოწვევების** სესიაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდის აღმოფხვრისა და ამ ტერიტორიების დეოკუპაციის მიზნით გადასადგმელი ნაბიჯები, რუსეთის მხრიდან ე.წ. „ექვსპუნქტიანი" შეთანხმების შეუსრულებლობა, ჟენევის მოლაპარაკებები, საქართველოს მთავრობის სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) როლი.
2. **დემოკრატიული რეფორმების** სესიაზე შეაფასეს დემოკრატიული რეფორმების ახალი ტალღა, რომლის მიზანია პარლამენტის როლის შემდგომი ზრდა და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, მას-მედიის თავისუფლების ამაღლება, საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, საარჩევნო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის განმტკიცება.
3. **ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA)** სესიაზე განიხილეს აღნიშნულ შეთანხმებაზე მოლაპარაკების უახლოეს მომავალში დაწყების შესაძლებლობები, მოლაპარაკების დასაწყებად ევროპული მხარის რეკომენდაციების შესრულება და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმები.
4. **განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის კოორდინაციის** თემატურ სესიაზე ევროკავშირს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს მთავრობას შორის განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე იმსჯელეს.

საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა" პირველად 2007 წლის ივლისში ჩატარდა და მას შემდეგ რეგულარულად წელიწადში ორჯერ იმართება.

ინფორმაციის წყარო:
www.eu-integration.gov.ge

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

თებერვლის დაიჯესტი

გერმანია ევროპული არმიის შექმნის მოახრეა

6 თებერვალს მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების უმაღლესი დონის საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა - გვიდო ვესტერველემ განაცხადა, რომ მსოფლიოში ევროკავშირის როლის გაზრდის მიზნით, მისი ქვეყანა ევროპული არმიის შექმნის იდეას მხარს უჭერს. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ „ლისაბონის ხელშეკრულების" ძალაში შესვლა კარგი დასაწყისია ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის უკეთესად ორგანიზებისთვის, რაც, თავის მხრივ, სტიმული იქნება უფრო ღრმა ევროპული ინტეგრაციისთვის.

გერმანიის უმაღლესი დიპლომატის პოსტზე სულ რამდენიმე თვის წინ დანიშნული ვესტერველე მიიჩნევს, რომ ევროპული არმიის შექმნა უკვე არსებული უსაფრთხოების სხვა სტრუქტურებისა და ალიანსების ჩანაცვლების ან მათთან დაპირისპირებისკენ არ იქნება მიმართული. შესაბამისად, ახალი ევროპის არავის უნდა ეშინოდეს, მაგრამ მასზე დაყრდნობის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

დისკუსიები ერთიანი ევროპული არმიის შექმნის შესახებ ფრანგი, ბრიტანელი და პოლონელი პოლიტიკოსების მხრიდან მრავალი წელია მიმდინარეობს. თუმცა მრავალი მიზეზის, მათ შორის, რეალური სამხედრო ძალის ნაკლებობისა და, პირველ რიგში, ნატოსთან ინტერესების გადაკვეთის გამო, პროექტის რეალიზება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

"სამხრეთის ნაკადის" პროექტი შესაძლოა ბულგარეთი რუმინეთმა ჩაანაცვლოს

18 თებერვალს გაცხადდა, რომ რუმინეთის მთავრობამ „სამხრეთის ნაკადის" გაზსადენის რუმინეთის ტერიტორიაზე გასაყვანად რუსულ კომპანია „გაზპრომს" ყველა საჭირო დოკუმენტაცია გადასცა. როგორც ჩანს, რუსეთის მუქარა ბულგარეთის „სამხრეთის ნაკადის" პროექტიდან ამოღების შესახებ რეალური ხდება.

ინფორმაციას დოკუმენტების გადაცემის შესახებ, როგორც რუსული, ასევე რუმინული მხარეც ადასტურებს. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია გაზსადენის ზუსტი მარშრუტი. უცნობია, გაზსადენი ბულგარეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე გაივლის, თუ რუსეთი პროექტს შეცვლის და მხოლოდ რუმინეთის ტერიტორიით ისარგებლებს. რამდენიმე კვირაა, რაც „გაზპრომი" „სამხრეთის ნაკადის" პროექტში ჩართვის თაობაზე რუმინეთთან აქტიურ მოლაპარაკებას მართავს, რადგანაც ბულგარეთი ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთისთვის პრობლემატურ პარტნიორად მიიჩნევა.

კომპანია „გაზპრომის" ექსპორტის საკითხებზე მომუშავე დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორის - ალექსანდრე მედვედევის თქმით, რუმინეთს შავ ზღვაზე ბრწყინვალე სტრატეგიული მდებარეობა აქვს და გაზსადენის ევროპული ნაწილისთვის მოსახერხებელი საწყისი პუნქტი იქნება.

რუმინეთის „სამხრეთის ნაკადში" ჩართვა ნიშნავს თუ არა პროექტიდან ბულგარეთის ავტომატურ გამორიცხვას, „გაზპრომში" არ აკონკრეტებენ.

ევროკომისიას ახალი საგენტოს შექმნა სურს

3 თებერვალს ევროკომისიამ მოხსენება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ სამრეწველო თუ სამომხმარებლო ნარჩენების მენეჯმენტის კუთხით ევროპაში ცუდი მდგომარეობაა, ამიტომ აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ევროკავშირის მასშტაბით ახალი სამსახურის შექმნაა საჭირო.

ბოლო წლებში არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ნარჩენების უკონტროლო გადაზიდვის ფაქტები საგრძნობლად მომრავლდა, რასაც ევროკომისია ნარჩენების მენეჯმენტის კუთხით ევროკავშირის ინფრასტრუქტურის უუნარობას უკავშირებს. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა შეიქმნას ახალი სააგენტო.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ უკანონო ტვირთების რაოდენობამ ბოლო 20 წლის მანძილზე „დრამატულად" მოიმატა. გაერთიანების აღმოსავლეთით გაფართოების შემდეგ, 1995 წლიდან 2005 წლამდე, გადაუმუშავებელი ქაღალდის რაოდენობა ხუთჯერ, ხოლო პლასტიკური მასალის კი-შვიდჯერ გაიზარდა.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სახიფათო ტვირთი ყველაზე ხშირად განვითარებად ქვეყნებში იგზავნება.

ევროკომისიის შეშფოთებას ასევე იწვევს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა, რომლებიც უკანონო ნაგავსაყრელებსა და ამ საკითხზე ქვეყნების არაადეკვატურ რეაქციას ეხება.

ევროკავშირი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აღიარებს

8 თებერვალს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა — კეტრინ ეშტონმა სპეციალური განცხადება გააკეთა და უკრაინას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება მიულოცა.

„არჩევნების მთლიანობაში მშვიდ გარემოში მიმდინარეობა, მედიის საშუალებით საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესაძლელობა და მრავალი კანდიდატის მონაწილეობა უკრაინის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს", - აღნიშნა ეშტონმა.

ეშტონის განცხადებამდე უკრაინის არჩევნები მთლიანობაში დადებითად შეაფასეს ევროპარლამენტარების დელეგაციამ და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) სადამკვირვებლო მისიამ.

ევროკომისია ევროკავშირის ნევრი ქვეყნების ბიუჯეტების შემოწმებას აპირებს

ევროკომისიამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებს მათი სახელმწიფო საფინანსო სისტემების შემოწმების ნებართვის გაცემის თხოვნით მიმართა. აღნიშნული ინიციატივა საბერძნეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებით არის გამოწვეული. ოფიციალური ათენი საკუთარი ბიუჯეტის შესახებ რეალურ ინფორმაციას არ გასცემდა და „ევროს" ზონის ეკონომიკა საფრთხის ქვეშ დააყენა.

ევროკომისიის წარმომადგენლების თქმით, საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ სამთავრობო სტატისტიკა ზუსტ მონაცემებს ეყრდნობა. მათი განმარტებით, ევროზონის ფუნქციონირებისა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის

ურთიერთგაგებისთვის ეს აბსოლუტურად აუცილებელია. ევროკომისიის მიერ შეთავაზებული წინადადების ძალაში შესვლისთვის გაერთიანების ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო.

ამჟამად საბერძნეთი „ევროს" ზონის სუსტი წერტილია, რომლის ფინანსური პრობლემები ქვეყანას დეფოლტის საფრთხეს წინაშე აყენებს და გავლენას ახდენს ერთიან ევროპულ ვალუტაზე. სიტუაციას ამძიმებს ევროკავშირის ქვეყნების გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, უნდა მიიღონ თუ არა მონაწილეობა საბერძნეთის პრობლემების მოგვარებაში.

რუმინეთი საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ს განახლებული ანტი-სარაკეტო სისტემის განთავსებას აპირებს

4 თებერვალს რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუმინეთი დათანხმდა აშშ-ს პრეზიდენტის — ბარაკ ობამას შემოთავაზებას ანტი-სარაკეტო თავდაცვის ფარის გარკვეული ნაწილის მის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ.

ბასესკუ აღნიშნავს, რომ აღნიშნული სისტემა მიმართული იქნება ისეთი ქვეყნისგან მომავალი საფრთხეებისგან თავდასაცავად, როგორიცაა ირანი.

აშშ-რუმინეთის აღნიშნულ შეთანხმებაზე საბოლოო სიტყვა რუმინეთის პარლამენტმა უნდა თქვას. დადებითი პოზიციის შემთხვევაში, ანტი-სარაკეტო თავდაცვის სისტემის ამოქმედება 2015 წლისთვის იქნება შესაძლებელი.

რუმინეთში აშშ-ს საელჩოს ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ რუმინეთი ხელსაყრელი მდებარეობის გამო იქნა შერჩეული. ამ ქვეყანაში განთავსებულმა თავდაცვის სისტემამ მომავალში ნატოს ევროპელი მოკავშირეების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს.

გამოყენებული წყაროები:

www.euractiv.com;

www.euobserver.com;

ევროკალენდარი

3 მარტი

ესპანეთის, ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საგარეო საქმეთა მინისტრის - მიგელ ანხელ მორატინოსის ხელმძღვანელობით ევროკავშირის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.
(თბილისი, საქართველო)

30 მარტი

ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის (PCC) მე-12 სხდომა.
(თბილისი, საქართველო)

ევროსტატისტიკა

2008 წელს ევროგაერთიანების ქვეყნებში თავშესაფარი 30 ათასამდე აღამიანმა იპოვა

ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურმა — „ევროსტატმა" 2008 წელს ევროგაერთიანებაში თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა. 2008 წელს ევროგაერთიანების 27 ქვეყანაში სულ 281100 განაცხადი შევიდა და მხოლოდ 76300 დაკმაყოფილდა. აქედან 40000 ადამიანს ლტოლვილის სტატუსი, 25500-ს - თავშესაფარი და 10800-ს - ჰუმანიტარული მიზეზით ცხოვრების უფლება მიენიჭა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერაყის (16600 პირი, ანუ საერთო რაოდენობის 22%), სომალის (9500 - 12%), რუსეთისა (7400 - 10%) და ავღანეთის (5000 - 7%) მოქალაქეებს აქვთ. ქვეყნების მიხედვით მათი განაწილება შემდეგნაირად მოხდა: 6400 ერაყელი დარეგისტრირდა გერმანიაში, 4000 - შვედეთში და 2300 - ჰოლანდიაში. სომალელთაგან 3500-მა თავშესაფარი იტალიაში, 1500-მა შვედეთსა და ჰოლანდიაში იპოვა, ხოლო რუსების უმეტესობა პოლონეთში, ავსტრიასა და საფრანგეთში განაწილდა.

თავშესაფრის მქონე პირთა 2/3 ევროკავშირის ხუთ ქვეყანაში - საფრანგეთში (11500), გერმანიაში (10700), დიდ ბრიტანეთში (10200), იტალიასა (9700) და შვედეთში (8700) დარეგისტრირდა.

თავშესაფრის მაძიებელთათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სტატუსის მინიჭების საკითხი და შესაბამისად, პირველ ეტაპზე განაცხადის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელიც განსხვავებულია. მაგალითად, ეს რიცხვი მაღალი იყო პოლონეთში (65%), ლიტვასა და პორტუგალიაში (64%), ავსტრიასა (62%) და დანიაში (58%). დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბერძნეთში (1%), სლოვენიასა (3%) და ესპანეთში (5%). საბოლოო ეტაპზე დადებითი პასუხი აპლიკანტთა დიდმა ნაწილმა ფინეთში (87%), ჰოლანდიაში (52%) და შვედეთში (49%) მიიღო.

ევროსტატმა ასევე გამოაქვეყნა საინტერესო მონაცემები მიგრანტთა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. კერძოდ, 2008 წლის განმავლობაში მშობლიურ ქვეყანაში მიგრანტების მიერ 31.8 მილიარდი ევროს გადაგზავნა მოხდა. ეს რიცხვი მოიცავდა ფულადი სახსრების როგორც შიდა, ანუ წევრ ქვეყნებში, ასევე ევროკავშირის საზღვრებს გარეთ მოძრაობას. თანხის უდიდესი ნაწილი (22.5 მილიარდი ევრო) სწორედ ევროკავშირიდან სხვა ქვეყნებში გაგზავნაზე მოდის. ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა ესპანეთიდან (7.8 მილიარდი), ასევე იტალიასა (6.4 მილიარდი) და საფრანგეთიდან (3.4 მილიარდი). გამოიკვეთა ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველწლიურად მზარდი დინამიკა: 2007 წელს ეს რიცხვი 31.3, 2006 წელს - 28.4, ხოლო 2005 წელს - 23.7 მილიარდი ევრო იყო.

ევრო პაიჭრა

ბრიუგეს ევროპული კოლეჯი

ევროპის კოლეჯის სტიპენდიები 'ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში' (ENP) გაერთიანებული ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომერში (იხ. „ევროპის დროით“ №13) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას კიდევ ერთი სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ევროპის კოლეჯმა მოიძია თანხები „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“ (ENP) გაერთიანებული ქვეყნების (საქართველო, ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, სირია, ტუნისი და უკრაინა) ახალგაზრდების სრული სტიპენდიების (მათ შორის, კვება და საცხოვრებელი) დასაფინანსებლად 2010-2011 სასწავლო წლისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან 2010-2011 სასწავლო წლისათვის ბელგიის (ბრუგე) ან პოლონეთის (ვარშავა) კოლეჯში განათლების დონის ამაღლებით, შეუძლიათ განაცხადით მიმართონ მიმღებ კომისიის ოფისს.

დაინტერესებულ კანდიდატებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (დიპლომი) შემდეგ სპეციალობებში უნდა ჰქონდეთ მიღებული:

- ბელგიაში სასწავლებლად: ეკონომიკა, სამართალმცოდნეობა, პოლიტიკური მეცნიერებანი და საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპული სწავლებანი, ისტორია.
- პოლონეთში სასწავლებლად: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერებანი, ისტორია, ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებანი, გეოგრაფია, ლინგვისტიკა და ჟურნალისტიკა.

ევროპულ კოლეჯში მისაღებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბოლონიის პროცესთან შესაბამისობაში მყოფი სამაგისტრო ხარისხი, პრებოლონიურ ხარისხთან გათანაბრებული დიპლომი ან სრულფასოვანი უმაღლესი განათლება (მინიმუმ 240 კრედიტის დაგროვებით) ევროპულ კოლეჯში გასავლელ ერთ-ერთ ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობაში. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებსაც (ვისაც დაგროვილი აქვს 180 კრედიტი) იმ პირობით, თუ ისინი მაღალი კვალიფიკაციის დემონსტრირებას მოახერხებენ სასურველ სასწავლო პროგრამაში. კანდიდატის პროგრამასთან შესაბამისობა განისაზღვრება შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა შევსებული ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა უნდა გაგზავნონ ევროპული კოლეჯის მიმღებ ოფისში ელექტრონულ მისამართზე: admissions@coleurop.be

კოლეჯში სასწავლო ენები ინგლისური და ფრანგულია. ორივე ენის სრულფასოვნად ფლობა კოლეჯში მიღების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სავალდებულოა ორივე ენის საერთო ევროპული სტანდარტებით დადგენილი ენობრივი შკალით განსაზღვრულ მინიმუმ მე- 2 დონეზე ცოდნა. ეკონომიკის და დიპლომატია-საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი ენობრივი კრიტერიუმები, რომელთა გაცნობაც შესაძლებელია შემდეგი ბმულის გამოყენებით:
http://www.coleurope.eu/template.asp?pagename=admislang

კონკურსის შედეგად წინასწარ შერჩეული კანდიდატები დაბარებულნი იქნებიან გასაუბრებაზე შესაბამისი ქვეყნის კოლეჯში მისაღები კომისიის ოფისში.
განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 15 აპრილი.
სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი:
http://www.coleurope.eu/template.asp?pagename=admisscholar_ENPR

ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურს მისამართზე:
ქ. ჩოლოყაშვილის 5, ოთახი 306
ტ: 899 21 16 70
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა)
ინფორმაციის წყარო:
http://iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=494&info_id=1618&parent_sec=57

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით **“ევროპის დროით“**
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ **ტელ.: 92 37 03** euinfocentre@gtz.ge

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაფრეშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა

“ევროპის დროით“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე:
www.parliament.ge